ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N97

2021 წლის 16 დეკემბერი
ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭების პროგრამა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

დანართი

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მოქმედების სფერო და მიზანი

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, მიანიჭებს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდებას.

2. „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭება შესაძლებელია მოქალაქეობის, ასაკობრივი და სხვა შეზღუდვების მიუხედავად.

3. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო საქმიანობის, ასევე ნებისმიერი ქმედების წახალისება, რომელიც ამბროლაურზე ზრუნვით არის მოტივირებული. პროგრამის არსი მდგომარეობს დევიზში: ,,ჩემი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებ, არამედ ისიც, რომ შემეძლო და არ გავაკეთე!“.

მუხლი 2. „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ კანდიდატურის წამოყენება

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის არანაკლებ 1%-ს;

ბ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს;

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს.

მუხლი 3. „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭება

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურთან, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს წარდგენილ კანდიდატურებს.

ბ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდებას მიანიჭებს არაუმეტს 3 (სამი) ადამიანს.

გ) პირს, რომელსაც მიენიჭება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის“ წოდება, გადაეცემა ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დ) შედეგების გამოცხადება და ჯილდოს გადაცემა მოხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

მუხლი 4. პროგრამის მოქმედების ვადა

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის შეფასების კრიტერიუმებია მუნიციპალიტეტისათვის სასარგებლო საქმიანობის წახალისება. საზოგადოების ინსპირირება ისეთი ქმედებებისკენ, რაც დადებითად შეიძლება აისახოს ჩვენი მუნიციპალიტეტის ყოფიერებაზე.

მუხლი 6. პროგრამის დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.